

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 1 16 00000613
2016 წლის 29 ივნისი ქ.თბილისი**

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №104 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2017-2020 წლები) დანართი N3 (N3.1, 3.2, 3.3).
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დავით ებრალიძე

დანართი №3
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა
(2017-2020 წლები)

№3.1

პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების
და ღონისძიებების აღწერა

პრიორიტეტის დასახელება: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1 პროგრამის დასახელება: თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი:

სტრატეგიულ დონეზე თავდაცვის სამინისტროზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა.

ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნის უზრუნველყოფა შესაძლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად და რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე და ეროვნული სამხედრო სტრატეგიით განსაზღვრული სამხედრო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, შეიარაღებული ძალების არსებული შესაძლებლობების შენარჩუნება და ამავე დროს, შეიარაღებული ძალების სამხედრო და სპეციალური აღჭურვილობით, შეიარაღებითა და ტექნიკით უზრუნველყოფა საბრძოლო, საბრძოლო მხარდაჭერის და ლოგისტიკური უზრუნველყოფის ქვედანაყოფების შესაძლებლობების განვითარების მიზნით.

სტრატეგიულ დონეზე საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკის მხარდასაჭერად და თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა მიმართულებების პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული მართვის ღონისძიებების დაგეგმვა.

თავდაცვის სამინისტროს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა, თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერის, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ორგანიზების, შეიარაღების კონტროლის და ვერიფიკაციის ღონისძიებების განხორციელება ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

ეუთოსთან თანამშრომლობის ფარგლებში „ვენის 2011 წლის დოკუმენტის“, „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ და „ღია ცის“ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ღონისძიებების/ინსპექციების შესრულება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

თავდაცვის სამინისტროზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება: ნორმატიული აქტების შესაბამისად, თავდაცვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, თავდაცვის სამინისტროს ძირითად მიმართულებებზე სტრატეგიული პოლიტიკის განსაზღვრა.

თავდაცვის სამინისტროს ეფექტიანი მართვა.

გაუმჯობესებული საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობა.

შეიარაღებული ძალები, რომელსაც შეუძლიათ თავდაცვის წარმოება სამოქმედო რაიონში და არსებული საშუალებების გამოყენებით მაქსიმალური ზიანის მიყენება მოწინააღმდეგისათვის დროის მოგების მიზნით.

ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისას შესაბამისი რეაგირების უნარი.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

1.1 ქვეპროგრამის დასახელება: სტრატეგიული და ოპერატიული მართვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ფინანსების მართვის დეპარტამენტი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული მართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განსაზღვრა, რომლის მიზანია სტრატეგიულ დონეზე თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა მიმართულებების პოლიტიკის განსაზღვრა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკის მხარდასაჭერად.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

თავდაცვის ეფექტიანი სტრატეგიული მართვა, ოპერატიული მართვის შესაძლებლობების შენარჩუნება/გაუმჯობესება.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

1.2 ქვეპროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა, ასევე თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერის, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ორგანიზების, შეიარაღების კონტროლის და ვერიფიკაციის ღონისძიებების განხორციელება ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. ეუთოსთან თანამშრომლობის ფარგლებში „ვენის 2011 წლის დოკუმენტის“, „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ და „ლია ცის“ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ღონისძიებების/ინსპექციების შესრულება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

საერთაშორისო დახმარების მოზიდვა და მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება თავდაცვის სისტემის ინსტიტუციური და სამხედრო შესაძლებლობების განვითარების მიზნით. პარტნიორ ქვეყნებში საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერის გაზრდა. საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება სავერიფიკაციო ინსპექციების ორგანიზების გზით.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

პრიორიტეტის დასახელება: განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

2 პროგრამის დასახელება: წვრთნა და სამხედრო განათლება

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; ს.ს.ი.პ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია; ს.ს.ი.პ. გენერალ კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი; ს.ს.ი.პ. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა; ა(ა)იპ სპორტული კლუბი არმია.

პროგრამის აღწერა და მიზანი:

თანამედროვე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების მიზნით სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება.

მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოყალიბების მიზნით რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებით მომზადება, მაღალი დონის აკადემიური და სამხედრო განათლება.

კადეტების ზოგადი განათლება, დაწყებითი სამხედრო მომზადება, ყოველწლიურად მათი საცხოვრებელი პირობებით, მკურნალობით, კვებით, უნიფორმითა და სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფა.

აკადემიური განათლების უზრუნველყოფა, ეფექტიანი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, უცხოეთის სამხედრო და სამოქალაქო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მსმენელების/იუნკერების, პროფესორ-მასწავლებლების/ინსტრუქტორების საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლება, პარტნიორი ქვეყნებიდან ინსტრუქტორების მოწვევა; ასევე სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

სამხედრო სწავლებების, სასწავლო კურსების, სიმულაციური საშუალებების განვითარება, სამხედრო განათლებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების ასევე, სპეციალიზაციის კურსების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

საზღვარგარეთ სასწავლო კურსებში მომზადებული და გადამზადებული სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეები. განვითარებული სიმულაციური საშუალებები და ეფექტიანი სასწავლო-საწვრთნელი დაწესებულებები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან და რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნების ჩატარებას.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

2.1 ქვეპროგრამის დასახელება: დაწყებითი სამხედრო მომზადება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

კადეტების ზოგადი განათლება, დაწყებითი სამხედრო მომზადება, ყოველწლიურად მათი საცხოვრებელი პირობებით, მკურნალობით, კვებით, უნიფორმითა და სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

შესაბამისი განათლებით და საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფილი კადეტები.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

2.2 ქვეპროგრამის დასახელება: სამხედრო განათლება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

აკადემიური განათლების უზრუნველყოფა

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

აკადემიური განათლების ეფექტიანი უზრუნველყოფა.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

1.1.1 ღონისძიების დასახელება: ეროვნული თავდაცვის აკადემია

აღწერა და მიზანი:

აკადემიური განათლების უზრუნველყოფა, ეფექტიანი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, უცხოეთის სამხედრო და სამოქალაქო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მსმენელების/იუნკერების, პროფესორ-მასწავლებლების/ინსტრუქტორების საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლება, პარტნიორი ქვეყნებიდან ინსტრუქტორების მოწვევა; ასევე სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

შუალედური შედეგი

კვალიფიციური კადრები, რომლებსაც ექნებათ სამეთაურო-სამტაბო ოფიცრის და შესაბამისი სპეციალობის პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებით განხორციელებული სასწავლო პროგრამები.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

1.1.2 ღონისძიების დასახელება: სპორტული კლუბი არმია

აღწერა და მიზანი

სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა

შუალედური შედეგები:

ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება მომდევნო ლიგაში გადასასვლელად.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

2.3 ქვეპროგრამის დასახელება: პროფესიული განვითარება (29 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

სხვადასხვა სასწავლო აქტივობების, სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, საინფორმაციო და საკონსულტაციო პროგრამების, ლექცია-სემინარების, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ფორმატის შეხვედრების, დისკუსიების, კონფერენციების ჩატარება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბის, სამოქალაქო და უსაფრთხოების სექტორის სხვა წარმომადგენლებისთვის, თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებზე ეროვნული,

რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის და კადრების პროფესიული გადამზადების მიზნით.

სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სკოლის მიზნების განხორციელებისთვის მატერიალურ-ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფა.

ნატოსთან თავსებადი სასწავლო პროგრამების ციკლისა და მართვის მოდელის დანერგვა.

ადგილობრივი სასწავლო შესაძლებლობების განვითარება.

სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების, თანამედროვე მეთოდების და სასწავლო მასალების გამოყენება.

დისტანციური სწავლების მეთოდის დანერგვა და სამინისტროს საერთო საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირება.

ადგილობრივ რეგიონულ და საერთაშორისო სასწავლო დაწესებულებებთან, ნატო-ს სკოლებთან, აკადემიურ წრებთან და ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ნატოსთან თავსებადი სასწავლო ინსტიტუტის ჩამოყალიბება, ნატოსთან თავსებადი სასწავლო პროგრამების ციკლისა და მართვის მოდელის დანერგვა. რეგიონული თანამშრომლობის ინტენსიური ფორმატის ჩამოყალიბება. ინფორმირებული, მოტივირებული და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის განვითარება. კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული კვალიფიკაციის კუთხით არსებული დეფიციტის აღმოფხვრა, გადამზადებული პერსონალის ბაზის შექმნა. გადამზადებულ ადგილობრივ ტრენერთა ბაზის დაფუძნება. ტრენინგის მართვის ციკლის ინსტიტუციონალიზაცია.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

2.4 ქვეპროგრამის დასახელება: სპეციალიზაციის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

შეიარაღებული ძალების სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ განათლების, წვრთნების შესაძლებლობების განვითარების და მაღალკვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეების, ლიდერების და სპეციალისტების ჩამოყალიბების უზრუნველყოფა.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში რეკრუტებთან საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსის ჩატარება, რიგითების და კაპრალების მომზადებას ძირითად სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობების შესაბამისად; სერჟანტთა კორპუსის მომზადება სერჟანტთა მომზადების ძირითად, შუალედურ, უფროსი სერჟანტის და სერჟანტთა მომზადების სამეთაურო-სამტაბო კურსებზე; საქართველოს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების სამთო მომზადება; საქართველოს ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების, ასეულის, ბატალიონის და შემდგომში ბრიგადის დონის ქვედანაყოფების შეფასება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

გადამზადებული პერსონალი

განხორციელების ვადები: მიმდინარე

2.5 ქვეპროგრამის დასახელება: სასწავლო კურსები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების პერსონალის მონაწილეობა პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ყოველწლიურ გეგმებსა და ნატო-ს საწვრთნელ/სასწავლო დაწესებულებებში ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში.

პროფესიული განვითარების სასწავლო კურსებში ქვეყნის გარეთ, როგორც სამხედრო ისევე სამოქალაქო მოსამსახურეთა მონაწილეობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები: მაღალკვალიფიციური პერსონალი.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

პრიორიტეტის დასახელება: ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

3 პროგრამის დასახელება: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; ს.ს.ი.პ. გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი

პროგრამის აღწერა და მიზანი:

თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების, ასევე, სამოქალაქო პირებისათვის სოციალური და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა: მათ შორის ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია.

შეიარაღებული ძალებისათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და მრავალპროფილიანი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, მორალურ-ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა მეორე და მომდევნო კონტრაქტის ფინანსური დახმარება, სამედიცინო კომისიის დასკვნის შედეგად გაცემული ერთჯერადი ფინანსური დახმარებები და დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებზე, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე გასაცემი ფულადი დახმარებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების, სამოქალაქო პირების სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. მათი საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა.

მომძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ჩანაცვლება-განახლება, საევაკუაციო ტრანსპორტის განვითარება და საჭირო სამედიცინო მარაგების შევსება.

სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევა.

სოციალური მხარდაჭერის კუთხით შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების წინაშე აღებული სოციალური ვალდებულებების ფინანსური უზრუნველყოფა.

დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებზე, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე გაცემული სოციალური და ფინანსური დახმარებები.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

3.1 ქვეპროგრამის დასახელება: ჰოსპიტალური დონის ამაღლება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. გიორგი აბრამიშვილის სახელობის სამხედრო ჰოსპიტალი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა. პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი და მკურნალობის ხარისხის და ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და გატარება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთათვის, პენსიონერებისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის, სამოქალაქო პირებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა,

სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანზერიზაცია; სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

პროფილაქტიკური ღონისძიებებით ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური სტატუსის შენარჩუნება და განმტკიცება, შემცირებული ავადობის მაჩვენებლები და შრომისუნარიანობის ხანგრძლივობა. თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით, ხარისხიანი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი პაციენტები.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

3.2 ქვეპროგრამის დასახელება: სამედიცინო მხარდაჭერა და სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ფინანსური მართვის დეპარტამენტი; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა მეორე და მომდევნო კონტრაქტის ფინანსური დახმარება, სამედიცინო კომისიის დასკვნის შედეგად გაცემული ერთჯერადი ფინანსური დახმარებები და დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებზე, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე გასაცემი ფულადი დახმარებები და მათი ფიზიკური რეაბილიტაციის, ამპუტირებულთა საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურების უზრუნველყოფისა და საჭირო ღონისძიებების ხარჯები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებს (სრულად).

მომველებული სამედიცინო აღჭურვილობის ჩანაცვლება-განახლებას და საჭირო სამედიცინო ქონების შევსებას. პროგრამის მიზანია სამხედრო სამედიცინო მხარდაჭერის როლი-1 და როლი-2 დონეების მედიკამენტებით და სამედიცინო სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა და მათი მარაგების შევსება, აგრეთვე მომველებული სამედიცინო აღჭურვილობის ეტაპობრივი ჩანაცვლება-განახლება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სოციალური მხარდაჭერის ეფექტიანი პროგრამა.

ხარისხიანი და მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი, დაზღვეული პირადი შემადგენლობა და მათი ოჯახის წევრები.

სამედიცინო ხარჯვადი ქონების მარაგებითა და თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობით უზრუნველყოფილი, საბრძოლო ქვედანაყოფების სამედიცინო მხარდაჭერის ერთეულები.

დაჭრილ და დაშავებულ მოსამსახურეთა ფიზიკური რეაბილიტაცია, ამპუტირებული სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების პროთეზებით უზრუნველყოფა.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

პრიორიტეტის დასახელება: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

4 პროგრამის დასახელება: მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; ს.ს.ი.პ. კიბერუსაფრთხოების ბიურო

პროგრამის აღწერა და მიზანი:

საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლისათვის კომუნიკაციებისა და საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემების გამართული ფუნქციონირება.

მონაცემებისა და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვა კიბერ და საკომუნიკაციო უსაფრთხოების სისტემების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მოწინააღმდეგის მხრიდან საზიანო ქმედებების თავიდან აცილებას, უარყოფითი შედეგების შემცირებას და ყველა ელემენტის ფუნქციონირების უმოკლეს ვადებში აღდგენას.

მონაცემთა და ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავდაცვის სფეროში და თანამშრომლობა სხვა შესაბამის უწყებებთან.

თავდაცვითი ოპერაციების ერთიანობისა და უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით ქვედანაყოფების მობილური და სტაციონარული მართვისა და კონტროლის სისტემის დახვეწა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მართვისა და კონტროლის სისტემების ერთიანი ფუნქციონირებადი ქსელის, სისტემის დახვეწა, რომელიც მოიცავს ქვედანაყოფებში სიტუაციის ფლობის, ინფორმაციის გავრცელებისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან შესაძლებლობებს.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

4.1 ქვეპროგრამის დასახელება: კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. კიბერუსაფრთხოების ბიურო

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

კიბერთავდაცვითი და ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება, ცნობიერების ამაღლება და ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება. თავდაცვის სამინისტროს, მასში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

თავდაცვის სფეროს კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება.

კიბერ-რეზერვი - შეიარაღებული ძალების მიერ კიბერ და საინფორმაციო ოპერაციების წარმოებისათვის საჭირო დამატებითი განვითარებული შესაძლებლობები. არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესაძლებლობებით გამოვლენილი კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების სრული და ოპერატიული აღმოფხვრა.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

4.2 ქვეპროგრამის დასახელება: კვაზიმულობის უზრუნველყოფა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი; საქართველო თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

კავშირგაბმულობის სერვისების, კავშირგაბმულობის სისტემების და ინფორმაციული სისტემების განვითარება შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდასაჭერად.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

უსაფრთხო კავშირისა და ინფორმაციის საიმედოობის შენარჩუნება ყველა დონეზე; შეიარაღებაში არსებული კავშირგაბმულობის საშუალებების მუშაუნარიანობის/ქმედითუნარიანობის აღდგენა; ინფორმაციის მართვა და საერთო ოპერატიული სურათის მიღება ყველა დონეზე; უსაფრთხო რადიოკავშირის და ნავიგაციის უზრუნველყოფა საერთო ოპერატიული სურათის მისაღებად. გაზრდილი მობილურობა და დაცული ინფორმაცია; ელექტრონული ფოსტისა და ვებ-სერვისების უწყვეტობის ხარისხისა და საიმედოობის გაზრდა.

ERP-სისტემის მოდულები და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა, რაც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის, ფინანსების, აქტივების, ავტოპარკის, ლოგისტიკური და სხვა პრიორიტეტული ბიზნეს პროცესების ელექტრონული სააღრიცხვო სისტემების შემუშავებას და დანერგვას.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

პრიორიტეტის დასახელება: რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

5 პროგრამის დასახელება: ინფრასტრუქტურის განვითარება

განმახორციელებელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი:

სამხედრო ბაზების, წვრთნების და სწავლებების უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის, საინჟინრო ნაგებობისა და კომუნიკაციების რეაბილიტაცია და განვითარება.

კვების სისტემის გამართვა, მათ შორის, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, წყალმომარაგების სისტემის განვითარებას, სასადილო ინვენტარით აღჭურვას და საველე სასადილოების და სამზარეულო კონტეინერების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

შეიარაღებული ძალების განვითარებული ინფრასტრუქტურა.

აღდგენილი სამხედრო, საყოფაცხოვრებო, სასაწყობო, საწვრთნელი და სასწავლო ინფრასტრუქტურა.

თანამედროვე სტანდარტებით აშენებული არასაცხოვრებელი და საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები.

გაუმჯობესებული კვებითი ობიექტები, გამართული წყლის რეზერვუარები და რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემები. სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურული კომუნიკაციები და საინჟინრო ნაგებობები.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

პრიორიტეტის დასახელება: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

6 პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ოპერაციები

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

პროგრამის აღწერა და მიზანი:

არსებული მექანიზმების საშუალებით ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ნატოს ეგიდით წარმოებულ მტკიცე მხარდაჭერის მისიასა (RSM) და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) მონაწილეობა.

ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა - EUMAM RCA და მალი - EUTM Mali) მონაწილეობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლება, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტებით ნატოსა და ევროკავშირის მისიებში მონაწილეობა.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

პრიორიტეტის დასახელება: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

7 პროგრამის დასახელება: სამხედრო მრეწველობის განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“; ს.ს.ი.პ. გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; ს.ს.ი.პ. ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი; ს.ს.ი.პ. რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; ს.ს.ი.პ. მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი; ს.ს.ი.პ. ინსტიტუტი ოპტიკა; ს.ს.ი.პ. სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა - ტექნიკის ინსტიტუტი

პროგრამის აღწერა და მიზანი:

ენერგოსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გაღრმავება, საწარმოო ბაზის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შეიარაღებულ ძალებში არსებული შეიარაღების და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება და აღდგენა.

მრეწველობის და მათ შორის, მანქანათმშენებლობის რიგი დარგების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური პროცესების კვლევა და ოპტიმიზაცია.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების მიზნით, თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევების განხორციელება.

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა-მშენებლობა და ექსპერიმენტალური მოდელების შექმნა შემდგომში ექსპორტის გაზრდის მიზნით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: განვითარებული სამხედრო მრეწველობა და ხარისხიანი სამეცნიერო კვევები

განხორციელების ვადები: მიმდინარე

7.1 ქვეპროგრამის დასახელება: სამხედრო სამრეწველო კომპლექსის განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა-მშენებლობა და ექსპერიმენტალური მოდელების შექმნა შემდგომში ექსპორტის გაზრდის მიზნით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი კოლეჯი "დელტა"-ს დაფუძნება და განვითარება, სამეცნიერო ცენტრის მშენებლობა, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ოპერირება, ახალი საწარმოს მშენებლობა, ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალების, იარაღისა და სამხ.ტექნიკის დახარისხება, შეფასება, უტილიზაცია, ფეთქებადი ნივთიერებების გადამუშავება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო, საწარმოო-ტექნოლოგიური სამუშაოები, ჰუმანიტარული განადმვითი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა, კოორდინაცია, ტროტილის გამოდნობა საარტილერიო ჭურვებიდან; საავიაციო რაკეტებისა და ბომბების გაუვნებელყოფა, გადამუშავება და განადგურება, ხოლო სხვა დანარჩენი სამუშაოები მიმდინარეობს გრიფით საიდუმლო.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

საქართველოს თავდაცვის უნარიანობის ამაღლება, ახალი ჩარხ დანადგარების შექმნა, პროდუქციის ექსპორტის გაზრდა, პროფესიების მიხედვით შესაბამისი სპეციალისტების მომზადება-გადამზადება როგორც ორგანიზაციის საჭიროების გათვალისწინებით ასევე ქვეყნის მაშტაბით, მძლავრი სამეცნიერო ცენტრის შექმნა, სამხედრო მასალების მოწყობილობების კვლევა და განვითარება, მეცნიერული

კვლევების და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარება, ახალი საწარმოო მიმართულებების ათვისება, სამეცნიერო და ეკონომიკური პოტენციალის შექმნა, სამოქალაქო პროდუქციის სპექტრის და მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდა.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

7.2 ქვეპროგრამის დასახელება: სამეცნიერო კვლევა სამთო ინჟინერიაში

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

საბადოთა რაციონალური ათვისების ტექნოლოგიების კვლევა და სამთო საწარმოთა საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება; სამთო-მომპოვებელი ობიექტების ეკოლოგიური უსაფრთხოება; ქანების, საშენი მასალების თვისებები, კვლევა და ხარისხის კონტროლი; საკონსტრუქტორო კვლევები, დაპროექტება. ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო დანიშნულების საბაგრო სატრანსპორტო სისტემების დამუშავება და კვლევა. სამრეწველო ფეთქებადი მასალების ბრუნვასთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტაციის სრულყოფა; ფეთქებადი მასალების ექსპერტიზა; მრავალფუნქციური დანიშნულების ახალი მასალების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება; ვადაგასული დენთების ბაზაზე სამრეწველო ფეთქებადი ნივთიერებების შექმნა; ქართული წარმოების ჯავშანმანქანის გამოცდა აფეთქების ზემოქმედებაზე და დაცვის ღონის შეფასება ნატოს სტანდარტების მიხედვით; სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების გაანგარიშება და დაპროექტების მეთოდების სრულყოფა; მილსადენი სატრანსპორტო სისტემების უსაფრთხო ექსპლუატაციის ტექნოლოგიების შემუშავება და დაპროექტება;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ჩატარებული კვლევების ბაზაზე დამუშავდება ახალი ტექნოლოგიები; შემუშავდება ღონისძიებები საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით; ჩატარდება სამრეწველო ფეთქებადი მასალების ექსპერტიზა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები გამოცდის მეთოდების სრულყოფის მიზნით; დამუშავდება ტურისტული და სამხედრო დანიშნულების მსუბუქი საბაგრო გზების საპროექტო დოკუმენტაცია;

განხორციელების ვადები: მიმდინარე

7.3 ქვეპროგრამის დასახელება: სამეცნიერო კვლევა გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ნახევარგამტარული და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების, კომპოზიციური მასალებისაგან სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ნაკეთობების და მართვის ელექტრონული სისტემების შექმნა. განხორციელდება, როგორც ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები, ასევე ახალი საბაზო ტექნოლოგიების დამუშავება და ახალი მასალების მიღება, ნაკეთობების, ხელსაწყო-მოწყობილობების და სისტემების შექმნა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ინოვაციური ტექნოლოგიები, ახალი ნახევარგამტარული, ზეგამტარული და კომპოზიციური მასალები და ფუნქციური დანიშნულების კერამიკული ნაკეთობები, რადიოელექტრონული მოწყობილობები,

მართვის ელექტრონული და სენსორული სისტემები და პროგრამული უზრუნველყოფა, საექსპერტო სამუშაოები, ინსტიტუტის საწარმოო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარება.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

7.4 ქვეპროგრამის დასახელება: სამეცნიერო კვლევა მანქანათმშენებლობის სფეროში

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

რთულ მექანიკურ სისტემებსა და მექანიზმებში მიმდინარე დინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ექსპერიმენტები, სხვადასხვა სახის დატვირთვების გაანგარიშების მეთოდების დამუშავება; მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა; თბოენერგეტიკული დანადგარების მუშა პროცესების ეფექტურობისა და ეკოლოგიურობის გაუმჯობესების გზების ძიება; მრავალფუნქციური რობოტოტექნიკური კომპლექსისა და მობილური პლატფორმის დაყვანა-დახვეწის სამუშაოები; ქვეყნის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით წვრილფერმერული მეურნეობებისათვის სხვადასხვა სახის მოწყობილობებისა და იარაღების დამუშავება და საპილოტე ნიმუშების დამზადება; ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით ახალი სახის თბო და ხმაურსაიზოლაციო მასალების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება და ამ მასალების გამოყენებით იაფი, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიური დანადგარებისა და სამშენებლო ნაკეთობების დამზადება; სპეციალური დანიშნულების მობილური ტექნიკის ჩრდილო ატლანტიკური ბლოკის სტანდარტების საგამოცდო პროგრამებისა და მეთოდის ქართული ვერსიების მომზადება;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სხვადასხვა დანიშნულების ახალ, გაუმჯობესებული კონსტრუქციების მანქანა-დანადგარების დამუშავება, დაპროექტება და საცდელი ნიმუშების დამზადება, მათი გამოცდები; მანქანათმშენებლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის განკუთვნილი ახალი კომპოზიციური მასალების შემუშავება; სპეციალური დანიშნულების მობილური ტექნიკის გამოცდებისათვის განკუთვნილი საერთაშორისო დონის პროგრამებისა და მეთოდის დამუშავება.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

7.5 ქვეპროგრამის დასახელება: სამეცნიერო კვლევა გამოყენებითი ოპტიკის სფეროში

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. ინსტიტუტი „ოპტიკა“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ელექტრომაგნიტური გამოსხივების უტილიზაცია, კონკრეტულად, ოპტო-ელექტრონული ხელსაწყოების შესწავლა და მათ ბაზაზე გაუმჯობესებული ან ახალი კონსტრუქციის მქონე ექსპერიმენტალური ნიმუშების შექმნა. ოპტიკური სუბიექტების გათვლა, გაზომვა, ოპტიკური სისტემების შექმნა, (ობიექტივი, ოკულარი) მოდელირება, გაჩარხვა გაპრიალება და შემდგომი დიელექტრიკული ან ანტირეფლექტური საფარით დაფარვა. ხორციელდება ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით კვლევა, რომლის ძირითადი მიზანია უსაფრთხო და პერსპექტიული განახლებადი (მზის) ენერგიაზე მომუშავე პროდუქციის შექმნა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

კონკურენტუნარიანი ოპტიკური და ოპტიკურ-ელექტრონული ხელსაწყოების შექმნა. მზის ენერგიაზე მომუშავე კონკურენტ უნარიანი, ენერგო-ეფექტური სისტემების შექმნა და მისი შემდგომი რეალიზაცია.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

7.6 ქვეპროგრამის დასახელება: სამეცნიერო კვლევა მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სფეროში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

კვლევითი და ტექნოლოგიური საქმიანობის სრულყოფა ლითონების, ლითონური მასალებისა და ნაკეთობების ხარისხის გაუმჯობესების და მათი მიღების ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავების მიზნით. აგრეთვე ბუნებრივი რესურსების და წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

განვითარდება ინოვაციური ტექნოლოგიები ახალი ლითონური, ლითონკერამიკული, კომპოზიციური და ნახევარგამტარული მასალებიდან (ფოლადების, რადიაციამედეგი ნახევარგამტარული მასალების, ჯავშანფილების მზის ენერჯის ფოტოელექტრული გარდამქმნელები); დამუშავდება სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის კოროზიისაგან დაცვის რეკომენდაციები; დამუშავდება ლითონური მასალების მექანიკური გამოცდების სტანდარტები თანამედროვე საერთაშორისო გამოცდების გათვალისწინებით.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

7.7 ქვეპროგრამის დასახელება: სამეცნიერო კვლევა მიკრო და ნანოელექტრონულ ტექნოლოგიაში

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ს.ს.ი.პ. მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

სხვადასხვა დანიშნულების მიკრო და ნანო ელექტრონული მოწყობილობების და მათი ელემენტების შექმნა, ნაკეთობების ტექნოლოგიური მარშრუტების, უნიფიცირებული ფოტომაბლონების დამზადება, მათი პარამეტრების დადგენა და გამოცდა, ნახევარგამტარული მოწყობილობების უნიფიცირებული ტექნოლოგიის შემუშავება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ფოტოდეტექტორული ნაკეთობების დემონსტრირება მატრიცების სახით, მათი ოპტიკური და ენერგეტიკული მახასიათებლების დადგენა და დიაგნოსტიკა სინათლის სპექტრის სხვადასხვა არეში; მაღალი ხარისხის მეტალების და ნახევარგამტარების დიელექტრიკული ფენების; ნახევარგამტარული მასალების ტექნოლოგიის შექმნა და შესწავლა. ფოტოდეტექტორული ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგია, დიელექტრიკული ფენების და სტრუქტურების შექმნის ტექნოლოგია.

განხორციელების ვადები: მიმდინარე

პრიორიტეტის დასახელება: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

8 პროგრამის დასახელება: საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაძლიერება

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-5 სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი

პროგრამის აღწერა და მიზანი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტების შესაბამისად, კონკრეტული თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას. კრიტიკულად მნიშვნელოვანი შესაძლებლობების - საჰაერო თავდაცვის, ჯავშანსაწინააღმდეგოს, საინჟინროს (კონტრმობილურობა), საარტილერი სისტემების და სადაზვერვოს (დაზვერვა, თვალთვალი, რეკოგნოსირება) - განვითარებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოდერნიზებული თავდაცვითი შესაძლებლობები

განხორციელების ვადები: მიმდინარე

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 29 00

კოდი	N	პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განხორციელებული პროგრამის/ქვეპროგრამისა და ღონისძიების დასახელება	დაფინანსება															
			2017 წელი				2018 წელი				2019 წელი				2020 წელი			
			სულ	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი	მ.შ. დონორები	მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	სულ	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი	მ.შ. დონორები	მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	სულ	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი	მ.შ. დონორები	მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	სულ	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტი	მ.შ. დონორები	მ.შ. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები
	I	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	627,190,000	541,076,000	78,000,000	8,114,000	602,600,000	543,600,000	52,000,000	7,000,000	551,700,000	543,700,000	-	8,000,000	552,700,000	543,700,000	-	9,000,000
29 01	1	თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები	467,741,000	467,741,000	-	-	467,800,000	467,800,000	-	-	467,800,000	467,800,000	-	-	467,800,000	467,800,000	-	-
29 01 01	1	სტრატეგიული და ოპერატიული მართვა	465,941,000	465,941,000	-	-	465,900,000	465,900,000	-	-	465,900,000	465,900,000	-	-	465,900,000	465,900,000	-	-
29 01 02	2	საერთაშორისო ურთიერთობები	1,800,000	1,800,000	-	-	1,900,000	1,900,000	-	-	1,900,000	1,900,000	-	-	1,900,000	1,900,000	-	-
29 04	4	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	9,743,000	9,743,000	-	-	9,800,000	9,800,000	-	-	9,900,000	9,900,000	-	-	9,900,000	9,900,000	-	-
29 04 01	1	კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა	1,200,000	1,200,000	-	-	1,200,000	1,200,000	-	-	1,200,000	1,200,000	-	-	1,200,000	1,200,000	-	-
29 04 02	2	კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	8,543,000	8,543,000	-	-	8,600,000	8,600,000	-	-	8,700,000	8,700,000	-	-	8,700,000	8,700,000	-	-
29 06	6	საერთაშორისო ოპერაციები	35,270,000	35,270,000	-	-	36,000,000	36,000,000	-	-	36,000,000	36,000,000	-	-	36,000,000	36,000,000	-	-
29 07	7	სამხედრო მრეწველობის განვითარება	36,436,000	28,322,000	-	8,114,000	37,000,000	30,000,000	-	7,000,000	38,000,000	30,000,000	-	8,000,000	39,000,000	30,000,000	-	9,000,000
29 07 01	1	სამხედრო სამრეწველო კომპლექსის განვითარება	29,798,000	22,968,000	-	6,830,000	30,362,000	24,646,000	-	5,716,000	31,362,000	24,646,000	-	6,716,000	32,362,000	24,646,000	-	7,716,000
29 07 02	2	სამეცნიერო კვლევა სამთო ინჟინერიაში	2,212,000	1,529,000	-	683,000	2,212,000	1,529,000	-	683,000	2,212,000	1,529,000	-	683,000	2,212,000	1,529,000	-	683,000
29 07 03	3	სამეცნიერო კვლევა გამოყენებითი ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში	1,030,000	900,000	-	130,000	1,030,000	900,000	-	130,000	1,030,000	900,000	-	130,000	1,030,000	900,000	-	130,000
29 07 04	4	სამეცნიერო კვლევა მანქანათმშენებლობის სფეროში	857,000	582,000	-	275,000	857,000	582,000	-	275,000	857,000	582,000	-	275,000	857,000	582,000	-	275,000
29 07 05	5	სამეცნიერო კვლევა გამოყენებითი ოპტიკის სფეროში	461,000	361,000	-	100,000	461,000	361,000	-	100,000	461,000	361,000	-	100,000	461,000	361,000	-	100,000
29 07 06	6	სამეცნიერო კვლევა მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სფეროში	1,479,000	1,399,000	-	80,000	1,479,000	1,399,000	-	80,000	1,479,000	1,399,000	-	80,000	1,479,000	1,399,000	-	80,000
29 07 07	7	სამეცნიერო კვლევა მიკრო და ნანოელექტრონულ ტექნოლოგიაში	599,000	583,000	-	16,000	599,000	583,000	-	16,000	599,000	583,000	-	16,000	599,000	583,000	-	16,000
29 08	8	საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის განვითარება	78,000,000	-	78,000,000	-	52,000,000	-	52,000,000	-	-	-	-	-	-	-	-	-
	II	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	43,826,000	43,098,000	-	728,000	44,700,000	44,000,000	-	700,000	44,700,000	44,000,000	-	700,000	44,700,000	44,000,000	-	700,000
29 02	2	წვრთნა და სამხედრო განათლება	43,826,000	43,098,000	-	728,000	44,700,000	44,000,000	-	700,000	44,700,000	44,000,000	-	700,000	44,700,000	44,000,000	-	700,000
29 02 01	1	დაწყებითი სამხედრო მომზადება	3,383,000	3,155,000	-	228,000	3,355,000	3,155,000	-	200,000	3,355,000	3,155,000	-	200,000	3,355,000	3,155,000	-	200,000
29 02 02	2	სამხედრო განათლება	14,805,000	14,305,000	-	500,000	14,805,000	14,305,000	-	500,000	14,805,000	14,305,000	-	500,000	14,805,000	14,305,000	-	500,000
29 02 03	3	პროფესიული განვითარება	868,000	868,000	-	-	868,000	868,000	-	-	868,000	868,000	-	-	868,000	868,000	-	-
29 02 04	4	სპეციალიზაციის უზრუნველყოფა	24,120,000	24,120,000	-	-	25,022,000	25,022,000	-	-	25,022,000	25,022,000	-	-	25,022,000	25,022,000	-	-
29 02 05	5	სასწავლო კურსები	650,000	650,000	-	-	650,000	650,000	-	-	650,000	650,000	-	-	650,000	650,000	-	-
	III	საწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	62,032,000	53,757,000	-	8,275,000	60,700,000	54,000,000	-	6,700,000	60,700,000	54,000,000	-	6,700,000	60,700,000	54,000,000	-	6,700,000
29 03	3	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	62,032,000	53,757,000	-	8,275,000	60,700,000	54,000,000	-	6,700,000	60,700,000	54,000,000	-	6,700,000	60,700,000	54,000,000	-	6,700,000
29 03 01	1	ჰოსპიტალური დონის ამაღლება	14,814,000	6,539,000	-	8,275,000	13,239,000	6,539,000	-	6,700,000	13,239,000	6,539,000	-	6,700,000	13,239,000	6,539,000	-	6,700,000
29 03 02	2	სამედიცინო მხარდაჭერა და სოციალური უზრუნველყოფა	47,218,000	47,218,000	-	-	47,461,000	47,461,000	-	-	47,461,000	47,461,000	-	-	47,461,000	47,461,000	-	-
	IV	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი	32,069,000	32,069,000	-	-	32,100,000	32,100,000	-	-	32,100,000	32,100,000	-	-	32,100,000	32,100,000	-	-
29 05	5	ინფრასტრუქტურის განვითარება	32,069,000	32,069,000	-	-	32,100,000	32,100,000	-	-	32,100,000	32,100,000	-	-	32,100,000	32,100,000	-	-
			765,117,000	670,000,000	78,000,000	17,117,000	740,100,000	673,700,000	52,000,000	14,400,000	689,200,000	673,800,000	-	15,400,000	690,200,000	673,800,000	-	16,400,000